

III საერთაშორისო სიმპოზიუმის “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები”

განაცხადი

მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“

ძვირფასო კოლეგებო!

გვაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი –“ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები” – ინსტიტუტში მიმდინარე საშტატო კონკურსთან დაკავშირებით, 2009 წლის 22-24 სექტემბერს ჩატარდება დაუსწრებელი ფორმატით.

სიმპოზიუმი ეძღვნება არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პრობლემებს, ლიტერატურულ ურთიერთობებსა და პროცესებს საერთაშორისო ისტორიულ და ინტერკულტურულ კონტექსტში.

სიმპოზიუმზე იმუშავებს შემდეგი სექციები:

- მედიევისტიკა
- მითოსი, რიტუალი, სიმბოლო
- რომანის საზღვრები
- თანამედროვე ლიტერატურული პროცესები
- ტექსტი და გლობალიზაცია
- ინტერკულტურული კომუნიკაციები
- ტექსტის კომპარატივისტული ანალიზი და კულტურის ტიპოლოგია.

სიმპოზიუმის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური და რუსული.

სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველებმა საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე 2009 წლის 1 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ თეზისები (არაუმეტეს 250 სიტყვისა, lit-nusx 12, 1,5 ინტერვალი) და საკონტაქტო ინფორმაცია.

თეზისების წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით: litinst@litinstituti.ge (მირანდა ტყეშელაშვილისათვის) ან მისამართზე: მ. კოსტავას ქუჩა #5, II სართული, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე **მირანდა ტყეშელაშვილი**.

თეზისების მიღების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტი მოგაწვდით ინფორმაციას სიმპოზიუმის მუშაობაში თქვენი მოხსენების ჩართვის შესახებ.

სიმპოზიუმის მონაწილეთათვის დაწესებულია სარეგისტრაციო გადასახადი:

- უცხოელთათვის - 30 €
- ქართველი მეცნიერებისათვის - 30 ლარი.

სარეგისტრაციო გადასახადი ითვალისწინებს სიმპოზიუმის მასალების დაბეჭდვას (სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ).



აქვე გაცნობებთ, რომ 2009 წლიდან ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს **პავლე ინგოროყვას სახელობის პრემიის** მოსაპოვებლად. პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

1. სამეცნიერო მონოგრაფია;
2. სამეცნიერო სტატია;
3. სამეცნიერო წიგნის თარგმანი (ქართულ ენაზე)

დაწვრილებითი ინფორმაცია პრემიის მოსაპოვებლად მასალის წარმოდგენის შესახებ იხილეთ ლიტერატურის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე:

www.litinstitutu.ge; ტელეფონი: (99532) 982 676;

პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი შედგება 2009 წლის სექტემბერში, მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში.

ინსტიტუტის დირექცია და საორგანიზაციო კომიტეტი მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის